

რედაქცია: სოლოლოკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის საღვთო, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროза“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სასისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

სოცველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსხვავდება: კრებულთა კბით ასოზე—1 კაპ., სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდოთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

„დროების“ კორრესპონდენტისაგან.

ბათუმი, 10 ივნისს. ამ უკანასკნელ დროს აჭარიდამ 750 ოჯახი გადასახლდა. იქილამ მოსულები ამბობენ, რომ სხვებიც აპირებენ კიდევ ოსმალეთში წასვლასაო.

შობულებთის მანრაში კი სრული მშვიდობიანობაა. ხალხი გულ-მოდგინეთ შუშაობს უანებში. აქა-იქ ისმის მხოლოდ, რომ რამდენიმე კაცი გავარდნილა ტყეში და აწუხებენ ხალხს; იმედია, ამათაც მალე დაიჭერენ და მაშინ მთელი მანრა მოისვენებს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ლონდონი, 8 ივნისს. საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს მევიპტეს ჰედივს ნებით გადადგეს მევიპტეს ტახტიდამ, დაუთმოს ეს ტახტი თავის შვილს ტეფიკს; თუ არა და ხონთქარს გამოვაცემინებთ ფირმანსაო და ამ ფირმანის ძალით გადაყენებული იქნებოა. ჰედივმა ერთი დღის ვადა ითხოვა, ფულები რომ ვისესხო აღგილობრივ ბანკირებისაგან და მოვალეები დაეკმაყოფილოო; როდესაც ყველა მოვალეებს დაეკმაყოფილებ, მაშინ ხელს ავიღებ მევიპტეს ტახტიდამაო.

ლონდონი, 8 ივნისს. ქაპის მიწილამ მოვიდა აქ დღეს ამბავი, რომ პრინცი ლუი ნაპოლეონი მოუკლავთ ზულუსებს, როდესაც ის მტრის დასახედავად ყოფილა ჯართან. სიღნეიმ პრინცის დედას ნაიპერატრიცალს მეგენიას აცნობა ეს ამბავი.

პარიზი, 8 ივნისს. საფრანგეთის ძონგრესმა (ნაციონალურ შრებამ და სენატმა შეერთებულმა), 549 ხმის უმეტესობით 20 ხმის წინააღმდეგ, გადაწყვიტა, რომ გაუქმდეს ის მეცხრე მუხლი კონსტიტუციისა, რომლის ძალითაც საფრანგეთის პალატების ადგილსამყოფი მერსალში უნდა ყოფილიყო.

მოსკოვი, 8 ივნისს. აქ მოვიდა ამბავი, ბოლგარიის მთავარმა გამოაცხადა ლონდონშიო, რომ ის 80,000 ჯარს მთავროებს ბოლგარიაში. ეს ამბავი ლონდონში არ ექაშნიათ.

კაპიტანზურლის ბირჟა, 8 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	95—37
მეორე — — — — —	95— ”
მესამე — — — — —	95— ”
მეოთხე — — — — —	95— ”
ალმოსავლეთის პირ. —	92—75
ალმოსავლეთის მეორე —	92—62
ალმოსავლეთის, მესამე —	” — ”
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—39
მთელ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	94—93

შინაგანი 5%, სესხის ბილეთები

პირველი სესხის — —	241—50
მეორე სესხის — — —	236—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — —	23—72	პენსი
ამსტერდამი — — —	119—37	ცენტის
ბერლინი — — — —	201—75	ჰენიგი
პარიჟი — — — — —	249—50	სანტიმი
ბაევასიის კერასინი * — —	— — —	—

საქართველო

თფილისის სასულიერო სასწავლებელი

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილი, რომელშიაც გამოხატულია ქუჩის სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობა; მდგომარეობა სამწუხარო და ყურადღების ღირს!

წერილის ავტორი მოგვითხრობს, რომ პანსიონის შავირდებს რიგთან არ აცემევენ, არ აქმევენ, არ ასწავლიანო. შავირდები შიმშილით და მოუღვლელობით ავით ხდებიან და იხოცებიანო; მასწავლებელი, სწავლის მაგიერ, ქეიფებში ატარებენ დროებასაო.

შველა ეს ამბავები რამდენჯერმე იყო აღრეც ჩვენს და სხვა თფილისის გაზეთებშიაც მოხსენებული; და ჩვენ ძალიან გვაკვირებს და სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ამ საზოგადო ჩივილს კაცი ყურადღებას არ აქცევს, რომ თითქო არა ჰსურსთ ამ უბედურ მდგომარეობილამ გამოიყვანონ შკოლა.

ჩვენ ვნახეთ რამდენიმე შავირდი ამ

სასწავლებლებისა, რომელთაც, შიმშილით, საძველ საჭმლისა და ურიგოთ მოვლის გამო, აღამიანის ფერი არ ადევთ. როგორ ყურადღებისა და გამოძიების ღირსი არ არის, მაგალითათ, ის გარემოება, რომ ერთი ყმაწვილი შიმშილგდარა მხოლოდ იმის გამო, რომ კუჭით ავითყოფი ყოფილა, ექიმს უთქვამს, ბულონის მეტი არა აჭამოთ-რაო და სასწავლებლის მთავრობას რალაც საძველი სწი მიუციათ? თუ ავითყოფებს ასე უვლიან, კარგად მყოფთ რალა ყური უნდა ათხოვონ?

როგორც გვითხრეს, ამ სასწავლებლის პანსიონში ასზე მეტი შავირდი იმუბაო, მომსულელებიც ასამდინ არისო. მრასი ყმაწვილი ამისთანა მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი, ორასი ყმაწვილი ასე ჰკარგავს პატარობილამვე თავის ჯან-მთელობას, ორასი ყმაწვილი ასე ჰკარგავს ტყუილ-უბრალოდ დროს, რომ თითქმის არათფრს არ სწავლობს, არც ტენის საზრდო და არც სხეულს, — ეს რა სასწავლებელია, ეს სადაური წესია? მრასი ქართველი ყმაწვილი, სამღვდლოების შვილები, რომელთაც სამღვდლოება საკმაო საშუალებას აძლევს ჩინისასაც და სწავლისასაც, — ამისთანა მდგომარეობაშია ზედამხედველისა და ინსპექტორის წყალობით და სამღვდლოება ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, არ შედის გარემოებაში, არ ცდილობს გაიგოს თავის შვილების ბედი, არ ცდილობს შეიტყოს — როგორ მიჰყავთ იმის ფულებით სასწავლებელი, — ამ გვარი გულ-გრილობა და დაუდევნელობა სწორეთ გასაკვირველია და გაუბებელი.

ამ მოკლე ხანში, როგორც ისმის, თფილისის გუბერნიის სამღვდლოების კრება იქნება; ახლა მაინც მიაქციონ ამ სასწავლებელს ყურადღება; მამები არიან, თუ არ იმათ, ვინ უნდა იზრუნოს იმათ შვილებზე?!

დღიური

* * ბათუმიდამ გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში აქ ქართული წარმოდგენა იმართებაო. „ზანა ბიძიამ ცალი შვიროთ“ და მ. აბაშიძის ვოდველი „სოლოი თუ გინდათ, ეს არის!“ უნდა ითამაშონ. წარმოდგენის შემოსავალი გაქირებულ ქობულეთელებისათვის არის დანიშნულიო.

* * ბათუმიდამვე გვატყობინებენ, რომ



ნეთს შესიოდნენ: „რა ექნათ, გლეხობამ გვაჯობაო, ჩვენ დავეცითო!“ და სხვ.

ამნაირად ჩვენი თავად-აზნაურობა გლეხობას აცალკევებს, და მტრულის და მოშურნე თვალით უყურებს. მითონ კი გულზე ხელ-დაკრებილი უქმად ატარებს დროს, არ მუშაობს, არ ცდილობს მონახოს გზა-კვალი შრომისა და ნამდვილი ცხოვრების წყაროს; ქურდობას ხელს ჰყოფს. როგორ არ იცის ამ თავად-აზნაურობამ, რომ ასეთუ გააგრძელებს თავის მდგომარეობას, მართლა ბევრად ჩამოუვარდება გლეხობას, მისი სახელი და ღირსება გაქრება? მს რომ ასე არ მოხდეს ჩვენი თავად-აზნაურობა უნდა მიიჩვიოს მუშაობას, ისწავლოს ვაჭრობა, მეურნეობა და სხვ. ზღვებთან ერთობა, სიყვარული ქონდეს; მოუშართონ ერთმანეთს ხელი.

პი მხოლოდ ამით შეუძლია თავად-აზნაურობას დაიცვას თავის ღირსება და სახელი, გააუმჯობესოს ეხლანდელი მდგომარეობა და რიგიან გზაზე დააყენონ თავის მომავალი. ქურდობა, მტაცებლობა ერთმანეთის გაუტანლობა, შური. — ესენი სულ უბედურებას შეგვამთხვევენ; სახელს გვიტყვენ, პატიოსნებას და ღირსებას გვიკარგვენ და გვალარიბებენ.

თუ ჩვენი თავად-აზნაურობა და საზოგადოთ ხალხი სწავლისა და შრომის გზას დაადგება, ის არამც თუ ჩამოუვარდება სხვა ქვეყნის ხალხს არამედ ბევრად წავა წინ, რადგან ბუნებით ჩვენი ხალხი ნიჭიერია. ქურდობის მოსპობა ჩვენი მალალი საზოგადოებისთვის ძალიან ადვილია, თუ მოინდომებს. იმას აქვს და ექნება ძალი და უფლება სდევნოს ქურდს, ავაზაკს და ყოველ ჩვენი საზოგადოებისთვის მავნებელი პირი, ვინც უნდა იყოს, თავადი აზნაური, თუ გლეხი.

მე ვაგიგე, ზუგდიდის უფნდში, ერთი საპრისტავოში რამდენიმე თავად-აზნაურებმა მოინდომეს და შეკრეს პირობაო, რომ არაფერი არ დაკარგულიყო იქილ არც დაკარგული სხვაგან გაჩენილ იყო და, როგორც ამბობდენ, კარგად მიდიოდა საქმეო; მაგრამ, საუბედუროდ, ისევ დაუნებებიათ თავი ამ მოსაწონი და სასარგებლო პირობისათვის. ამ გვარი საქმე ყურადღების ღირსია და ამ გვარი საქმის მოთავე კაცი პატივის ცემის ღირსია ჩვენი საზოგადოებისგან.

მეგრელი (მაგრძელება)

წერილი კედაჭოტთან

მოწყალეო ხელმწიფეო!

ამ ორიოდ წლის განმავლობაში აქაურმა გაზეთებმა ბევრი ცხარე ბასი შექმნეს მთილისის სასულიერო სასწავლებლებზე, საზოგადოთ ამ უკანასკნელების ცუდს და, სწორეთ მრგანსენოთ, საძაველ მდგომარეობაზე, მითქმის

კვირა არ გაიცილიდა და არ გაიცილს, რომ თითო რომელიმე ნაკლულეფანება არ გამოგვაშკარებინათ ამ ჩვენი სასულიერო სასწავლებლისა და სასულიერო სემინარიისა.

მაგრამ გამაგრებული მტერი ვერ დასძარით სანგლებისაგან და მრავალი მწარე ტყვიით ვერც კი ვაჭკაწრევით.

მართლაც შეიძლება ამისთანა საზოგადოების ხმის და სურვილის გაუგებლობა! იმდენი თქვენი გაკიცხვით და ქადაგებით მთილისურ სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა ნამცეცადაც არ გაუმჯობესდა; სწავლა ისევ უთავბოლოთ მიდის; მოსწავლენი ისევ მონურ მდგომარეობაში არიან; ისევ იმგვარივე გამოუდგვარ საჭმელ-სასმელს აძლევენ; ისევ გონიერად მიუხედველობისაგან იხოცებიან ყმაწვილები; თქვენი მტრების ლაშქრის უფროსები უფ. (ტუეშინსკი და კამპ.) არათუ დაისაჯენ, არამედ თქვენი გაზეთების ზულის მიხედვით ყურებიც კი არ გამოიბღერტეს.

მისიც ჯერი იყო, არა თუ ყურადღება მიაქციეს ამ თქვენგან აშლილ საქმეს, არამედ ყველაფერი ჭორად ჩათვალეს და ერთ ყურში შაშვებული მეორე ყურიდან გაუშვეს.

რამდენათ მართალია ზემორე თქმული ცხადათ ვეიმტკიცებს ეს, რომ უფ. ტუეშინსკის და ბაიევის ჩხუბს ყურის მგდებელი არა ჰყავს. სხვა სასწავლებლებში მაჩხუბარებს ერთ წამსაც, არ შეინახავენ, ჩვენი გმირი (უფ. ტუეშინსკი) კი ეხლაც სემინარიაში ბრძანდება. და რომ მათი ჩხუბის შესახებ თქმული მართალი იყო და უფრო მეტიც იყო, ამაში ეჭვი არ არის.

მართლის ენის სწავლება არა თუ გაუმჯობესდა, პირ-იქით უფრო დასუსტდა.

სას. სასწავლებლებზე „ღროების“ № 93-ში თქმული უსწორ-მასწორება არათუ გასწორდა, არამედ რამდენათმე ცუდათ წავიდა; ასე რომ ჩვენი შეილები ეხლაც შიმშილისაგან დასუსტებული არიან; საწყალ ბოვებს აძლევენ მცირე საჭმელს, ისიც უფარვის: პური ისეთი შავი და უმი, რომ ყმაწვილი ვერა სჭამს; სადილზე ეძლევათ რაღაცა უცხო საჭმელი, კაცი ვერ გაიგებს სადაურია ეს ხორავი, აქ უძახიან „სუპს“. პირითი შესდგება ეს სუპი: მტკარის მღვრია წყალი, (ბლომათ), მცირე ბრინჯი, მარილი და ზეთი. მაგრამ ამ საჭმელს მხოლოთ მაშინ ეკარებიან ყმაწვილები, როცა ხუთი დღის მშვიერ მგელივით შიანთ, თორემ სხვა დროს კი არც ერთი ხელსაც არ ახლებს. პი მაგ. 9 ამ თვისას ყმაწვილები არც კი მიეკარნენ მორთმეულს „სუპს“. ასე, როგორც მითხრეს, მოსდით ყოველ დღეს. საწყლებს ერთის მხრით შიმშილისაგან, მეორის საწოლ და სასწავლო ოთახების უწმინდურობისაგან, სიმყარლისაგან მკედრის ფერი ადევთ.

ბარდა ამისა ისე სასტიკათ ეპყრობიან მოსწავლეებს, როგორც უწინ ზოგიერთი უსინდისო ბატონი თავის ყმას. შაწვილები ყოველის მხრით დამონავებული არიან: ვინც წინააღმდეგ სიტყვას იტყვის,

უპუროთ რჩება; მოსამსახურეობაში თავის ფეხ-ქვეშ ქეღვენიც უნდა დასაზოგადოთ სასწავლებელი სამწუხარო მდგომარეობაშია, და ამისთანა მდგომარეობაში მყოფ სასწავლებელზე წელს, როგორც ამბობენ 3,000 მანეთი მეტი დახარჯულა დანიშნულს ჯამზე!

მით სწავლა თითქმის სრულიად არ არსებობს ამ სასწავლებელში და არ არსებობს მიტომ, რომ არაფერ არ ასწავლობს. უფ. ინსპექტორი გაკვეთილების დროს ბევრჯელ მიდის სხვა-და-სხვა სოფლებში, ან მთილისში, სადაც დასერილობს და ფულით ვაჭრობს. რასაკვირველია, ამისთანა მასწავლებლის ყმაწვილებს არაფერი ეცოდინებათ; ჩემ დროს ეს ინსპექტორი მთელი წლის განმავლობაში ათჯერ თუ 15-ჯერ შამოვიდა გაკვეთილზე, სხვა დროს კი სულ ადევოკატობდა! ზედამხედველი ჰყავთ მოქიფე და სრულიად უნაყოფო კაცი, რომელიც თავის გაკვეთილებს თავის სასწავლებლებში სტოვებს და იუნკრების შკოლაში კი დაიარება გაკვეთილების მისაცემათ.

შველა ეს მე იმიტომ ვატყვი, რომ დროა ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ სასწავლებლის დაცემას, დროა რომ მოაშორონ სასწავლებლებს ადამის ხნის მასწავლებლები, დროა კარგა გაასუფთავონ სასწავლებლის უწმინდური მიმდინარეობა და სწორ გზაზე დააყენონ!

თორემ, თუ ასე წავიდა საქმე, გარდა იმისა, რომ უსწავლენი დაგვრჩება შეილები, კიდევ დაგვებოცებიან. პი წლეულს, მაგ, მოგვიკვდა ოთხი ყმაწვილი. ამბობენ, რომ ერთის ყმაწვილისთვის, რომელიც ერთ თვეს კუჭით იყო ავათო, და რომელსაც დოქტორის ბრძანებით ბულიონის მეტი არაფერი არ უნდა ეჭყევიათ, ზელიონი შჩი მიუციათ და ამით ყმაწვილი მომკვდარაო!

მისტონი.

უსხო ქვეყნები

საზრანგითი

ტელეგრაფმა მოგვითხა ამბავი, რომელიც საფრანგეთში დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს და რომელსაც ამ ქვეყნის მომავალ პოლიტიკურს ბედზედ, უეჭველია, დიდი გავლენა ექნება. ჩვენ ვამბობთ პრინცი ლუი ნაპოლეონის მოკვლასზედ ზელსებისაგან.

მოგვხსენებთ, რომ ამ სამი-ოთხი თვის წინათ ეს პრინცი აფრიკაში წაჰყვა ინგლისის ჯარს, რომელსაც აჯანყებული ზულუსები — ძაპის მიწის მცხოვრებნი, უნდა დაემორჩილებინა. მიზანი იმისი იყო, რომ ომში გამოვიცდები და ჩემ მომავალ ქვეშევრდომებში (ფრანკებში) ამგვარად უფრო მომეტებულ თანაგრძნობას მივიღებო. მს ნატვრა არ შეუსრულდა: თვითონ თავი წააგო ამ პოლიტიკურ განზრახვის სისრულეში მოყვანას.

